



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 492

„29“ მაისი 2013 წ.

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/127 გადაწყვეტილებაში შემდეგი ცვლილება:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების თანდართული წესი.“;

გ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლის და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“;

გ.ბ) პირველი მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის“;

გ.გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრისათვის“;

გ.დ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულმა წევრმა“;

გ.ე) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრის“;

გ.ვ) მე-6 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრის“, ხოლო ამავე მუხლის ცხრილში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრი“;

გ.ზ) მე-7 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ წევრს“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2013 წლის 22 ივნისიდან.

ვალერი ცერცვაძე



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი